სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

03/10/2024

MES 8 24 0001267047

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წელს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების შესაბამისად დასაფინანსებელი ადგილების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 18 ივლისის 122/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (03/10/2024წ. N1263241) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წელს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების შესაბამისად დასაფინანსებელი ადგილები განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. ისტორია - 37 ადგილი (წლიური საფასური 2250 ლარი სულ: 83 250 ლარი);
2. ქართული ენა და ლიტერატურა - 29 ადგილი (წლიური საფასური 2250 ლარი სულ: 65 250 ლარი);
3.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 43 ადგილი (წლიური საფასური 2250 ლარი სულ: 96 750ლარი);
4. ბიოლოგია - 8 ადგილი (წლიური საფასური 2250 ლარი სულ: 18 000 ლარი);
5. აგრონომია - 34 ადგილი (წლიური საფასური წლიური საფასური 2250 ლარი სულ: 76 500 ლარი);
6. სასურსათო ტექნოლოგია - 80 (წლიური საფასური 2250 ლარი სულ: 180 000 ლარი);
7. ეკონომიკა - 30 ადგილი (წლიური საფასური 2250 ლარი სულ: 67 500 ლარი).

სულ: 261 ადგილი
ბიუჯეტი: 587 250 ლარი

2. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვის და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
7.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების ვებგვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა